



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობა



KA000094247589017

5000 საქართველო, ჩხოროწყუ, დ. აღმაშენებლის ქ. №1

ტელ: 5(99) 856 577

ელ.ფოსტა info.gamgeoba@gmail.com

№ 309-ს

24 / თებერვალი / 2017 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანების“ წესდების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ. ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 106¹-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“ 24-27-ე, 29-ე, 35-ე მუხლების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-14⁴ მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეორგანიზაციის განხორციელებისა (შერწყმა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების თაობაზე ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 3 იანვრის №2 განკარგულებისა და „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეორგანიზაციისა (შერწყმა) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების დაფუძნების შესახებ“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 11 იანვრის №10-ს ბრძანების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანების“ წესდება თანდართული სახით.
2. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. №12).

გამგებელი



დათო გოგუა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო
სკოლის გაერთიანების“
წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანება“, შემდგომში „გაერთიანება“ არის ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

1.2 გაერთიანება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონების, ამ წესდებისა და სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

1.3 გაერთიანებას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები შესაბამის საბანკო დაწესებულებებში, ბეჭედი, იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

1.4 გაერთიანების სრული სახელწოდებაა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანება“.

1.5 გაერთიანების წესდებას ამტკიცებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

1.6 გაერთიანება დაფუძნებულია განუსაზღვრელი ვადით.

1.7 გაერთიანების იურიდიული მისამართია: ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, დაბა ჩხოროწყუ, ჭავჭავაძის ქ.№3.

1.8 გაერთიანების ელექტრონული ფოსტის მისამართია: sasportoskola777@gmail.com

მუხლი 2. გაერთიანების საქმიანობის მიზნები

2.1 გაერთიანების საქმიანობის მიზნებია:

ა) ბავშვთა საფეხბურთო გუნდების ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა;

ბ) სპორტული ტიპის გამოფენების მოწყობა;

გ) ადგილობრივ, რეგიონალურ და საერთაშორისო ორგანიზაციათა პროგრამებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიღება, პროგრამებისა და კონკურსების ინიცირება;

დ) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ, სპორტულ-გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა-დაოსტატება;

ე) ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება;

ვ) გაერთიანებაში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით მუნიციპალიტეტის ეროვნული ნაკრები გუნდების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული ჭაბუკი სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

ზ) გაერთიანების მოსწავლეთათვის მუნიციპალიტეტისა და ეროვნული ნაკრების გუნდების წევრებისათვის შესაბამისი სპორტის სახეობათა მიხედვით მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა;

თ) სკოლის მოსწავლეთათვის (სპორტსმენთათვის) სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება;

ი) გაერთიანების თანამშრომელთა და სპორტსმენთა სოციალური პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვა.

2.2 თავისი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად სასპორტო სკოლა ეტაპების შესაბამისად ახორციელებს შემდეგ სკოლისგარეშე სასპორტო საწვრთნელ საქმიანობას სპორტის რამდენიმე სახეობაში:

ა) პირველი (დაწყებითი) ეტაპის _ საერთო ფიზიკური და დაწყებითი მომზადება მოიცავს: მოძრავი სახალისო სპორტული თამაშობების შესწავლასა და მათში მონაწილეობის მიღებას, სპორტული საფუძვლებისა და ეროვნული სპორტული მემკვიდრეობის გაცნობას; ჯანსაღი ცხოვრების წესის აღქმასა და უნარ-ჩვევების გამომუშავებას, სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბებას; მოსწავლე-სპორტსმენის მომზადებას შესაბამის შემდგომ საწვრთნელ ეტაპზე გადასასვლელად;

ბ) მეორე (საბაზო-საორიენტაციო) ეტაპის საწვრთნელი-სასპორტო საქმიანობა მოიცავს: პირველ (დაწყებით) ეტაპზე შეძენილი ცოდნისა და ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფასა და ფიზიკური კონდიციების ამაღლებას; შესაბამისი უნარ-ჩვევების გაღრმავებას; სპორტის კონკრეტული სახეობის დაუფლებაზე ორიენტირებულ მომზადებასა და შესაბამის სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობას; დამოუკიდებლად წვრთნის უნარ-ჩვევების გამომუშავებას; მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად;

გ) მესამე (საშუალო) ეტაპის _ სპორტული დახელოვნებისა და სრულყოფის სასპორტო საქმიანობა მოიცავს: წვრთნის პროცესის აქტივიზაციას; არჩეულ სპორტის სახეობაში შეძენილი სპორტული მომზადების, სპორტული ცოდნისა და უნარ-ჩვევების რეალიზებას; სპორტულ შეჯიბრებებზე მაქსიმალურად მაღალი შედეგების ჩვენებას და უმაღლესი სპორტული შედეგების მისაღწევად მომზადებას; მოსწავლის (სპორტსმენის) მომზადებას შესაბამისად შემდგომი წვრთნის ეტაპზე გადასასვლელად.

დ) მეოთხე (უმაღლესი) ეტაპის - უმაღლესი სპორტული დაოსტატების სასპორტო საქმიანობა მოიცავს: მაღალი სპორტული შედეგების ჩვენებას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მოსწავლეების (სპორტსმენების) მზადებას ეროვნული ნაკრები გუნდების წევრობის ან წევრობის კანდიდატურისათვის.

2.3 სკოლის სასპორტო - საწვრთნელი პროცესის ძირითად ფორმას წარმოადგენს:

- ა) ჯგუფური-საწვრთნელი და თეორიული მეცადინეობები;
- ბ) ინდივიდუალური წესით მეცადინეობები;
- გ) სხვადასხვა რანგის შეჯიბრებებში და სასწავლო-საწვრთნელ შეკრებებში მონაწილეობა (როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ).

2.4 სასპორტო მომზადებისა და უნარ-ჩვევების გამოვლენისა და კონტროლის ფორმებია: მიმდინარე (ვარჯიშის შესრულება) და პერიოდული (სპორტული შეჯიბრებები, ნაჩვენები შედეგები და სხვა).

2.5 გაერთიანება ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში აწარმოებს მოქმედ სპორტსმენტა აღრიცხვას (ფეხბურთელთა გარდა ასაკის შეუზღუდავად) და უფლებამოსილია უზრუნველყოს მათი სხვადასხვა რესპუბლიკურ, რეგიონალურ, საერთაშორისო თუ ღია ტურნირებში (ჩემპიონატებში) მონაწილეობა საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში.

მუხლი 3. გაერთიანების უფლება-მოვალეობანი

3.1 გაერთიანებას უფლება აქვს:

- ა) ითანამშრომლოს შესაბამისი პროფილის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- ბ) მოიძიოს დაფინანსების დამატებითი საშუალებები (მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში);
- გ) მოაწყოს, თავად გამართოს და მონაწილეობა მიიღოს კომერციულ, საქველმოქმედო ან სხვა შესაბამის ღონისძიებებში, მათ შორის ფესტივალებში, კონკურსებში როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ;
- დ) დაადგინოს მატერიალური წახალისების ფორმები და სისტემები;
- ე) უზრუნველყოს გაწეული საქმიანობის ანგარიშების წარმოება და მონიტორინგი.

3.2 გაერთიანება ვალდებულია:

- ა) წარმართოს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
- ბ) დაიცვას დადგენილი სტანდარტები;
- გ) აღსაზრდელებს შეუქმნას კვების, ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური სრულყოფის პირობები;
- დ) იზრუნოს პერსონალის პროფესიულ მომზადებასა და გადამზადებაზე.

მუხლი 4. გაერთიანების სტრუქტურა

4.1 გაერთიანების სტრუქტურული ერთეულებია:

- ა) ადმინისტრაცია;
- ბ) ფეხბურთის ცენტრი;
- გ) კომპლექსური სასპორტო სკოლა.

მუხლი 5. გაერთიანების მართვა

5.1 გაერთიანებას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

5.2 გაერთიანების დირექტორი:

ა) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს გაერთიანებას;

ბ) პასუხს აგებს გაერთიანების საქმიანობაზე;

გ) მუნიციპალიტეტის გამგებელთან შეთანხვებით ამტკიცებს გაერთიანების სამტატო ნუსხას, სახელფასო ფონდსა და მუშაკთა სახელფასო განაკვეთებს;

დ) დადგენილი წესით ხსნის საბანკო ანგარიშს საბანკო დაწესებულებებში;

ე) კანონმდებლობის შესაბამისად განაგებს ფინანსურ და მატერიალურ საშუალებებს;

ვ) საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ შესაბამისად ნიშნავს (დებს შრომით ხელშეკრულებებს) და ათავისუფლებს გაერთიანების თანამშრომლებს, მათ მიმართ იღებს დისციპლინარულ და წამახალისებელ ზომებს;

ზ) კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს ბრძანებებს, ამტკიცებს გაერთიანების შინაგანაწესს, სამუშაო გეგმებს, აკონტროლებს მათ შესრულებას. კანონის შესაბამისად ახორციელებს გაერთიანების ფუნქციონირებისათვის აუცილებელ, კანონმდებლობით ნებადართულ სხვა საქმიანობას;

თ) გასცემს მინდობილობებს, დებს ხელშეკრულებებს ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან;

ი) წელიწადში ორჯერ (აგრეთვე მოთხოვნის საფუძველზე) გაწეული მუშაობის შესახებ წარუდგენს ანგარიშს მუნიციპალიტეტის გამგებელს;

კ) ახორციელებს კანონმდებლობითა და ამ წესდებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

5.3 გაერთიანების საქმიანობას კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი დარგობრივი სამსახური.

5.4 გაერთიანების დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს ცენტრის ერთერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილაც მოკლებულია უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

5.5 გაერთიანებაში იქმნება სასპორტო სკოლის პედაგოგიური (მწვრთნელთა) საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს გაერთიანების დირექტორი.

5.6 პედაგოგიურ საბჭოში შედის ყველა პედაგოგი (მწვრთნელი)

5.7 პედაგოგიური საბჭო:

ა) არსებული მეთოდიკისა და ეროვნული სასპორტო – საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს სასწავლო და სასპორტო-საწვრთნელ გეგმას.

ბ) მონაწილეობს წლის შედეგების განხილვაში;

5.8 პედაგოგიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგი, დამსწრეთა ვინაობა, მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს დირექტორი და საბჭოს მდივანი.

5.9 გაერთიანების საქმიანობას კოორდინაციას უწევს მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი დარგობრივი სამსახური.

5.10 გაერთიანების დირექტორის არყოფნის, მის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში ან თანამდებობიდან მისი გადადგომისას, აგრეთვე დირექტორის დავალების საფუძველზე დირექტორის მოვალეობას ასრულებს მოადგილე. თუ დირექტორს არ ჰყავს მოადგილე ან მოადგილის მიერ უფლებამოსილებათა განხორციელების შეუძლებლობისას დირექტორის დავალებით მოვალეობას ასრულებს გაერთიანების ერთერთი თანამშრომელი. თუ დირექტორიც და მოადგილაც მოკლებულია უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში გაერთიანების დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს ნიშნავს მუნიციპალიტეტის გამგებელი.

მუხლი 6. გაერთიანების ქონება და სახსრები

6.1 გაერთიანების ქონებას წარმოადგენს მატერიალური ფასეულობა (უძრავ-მოძრავი ქონება), რომელიც ცენტრს გადაეცემა დასახული მიზნისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად და წარმოადგენს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის საკუთრებას.

6.2 გაერთიანების ფინანსურ სახსრებს შეადგენს:

- ა) ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები;
- ბ) გრანტისა და შემოწირულობების სახით მიღებული შემოსავალი;
- გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავალი.

მუხლი 7. გაერთიანების საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

7.1 გაერთიანებას, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებლის თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეუძლია განახორციელოს შემდეგი ქმედებები:

- ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
- ბ) სესხის აღება;
- გ) სარგებლობის უფლებით მიღებული ქონების იჯარის ან ქირავნობის ხელშეკრულებით გადაცემა;
- დ) თავდებობა;
- ე) გაერთიანებაში არსებულ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა გადაწყვეტილებების მიღება, თუ ისინი სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. გაერთიანების საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება

8.1. გაერთიანება ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დადგენილ ვადაში წარუდგინოს იგი დასამტკიცებლად ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს.

მუხლი 9. კონტროლი

9.1. გაერთიანების საქმიანობა ექვემდებარება კონტროლს, რაც გულისხმობს განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას.

9.2. გაერთიანების საქმიანობის კონტროლს ახორციელებს ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი გამგეობის შიდა აუდიტის სამსახურის მეშვეობით.

9.3. ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს გაერთიანების არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

9.4. გაერთიანების დირექტორი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად გაასაჩივროს მაკონტროლებელი ორგანოს ქმედება.

მუხლი 10. გაერთიანების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

10.1 გაერთიანების რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის გამგებელი მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.2 ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადანაწილდება საქართველოს კანონის „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 38-ე მუხლის შესაბამისად.

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

11.1. წესდებაში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. სამართალმემკვიდრეობა

12.1 არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა და კომპლექსური სასპორტო სკოლის გაერთიანება“ წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრისა“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442260296) და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის კომპლექსური სასპორტო სკოლის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 442261838) სამართალმემკვიდრეს.

დათო გოგუა

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის გამგებელი